შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№28 (10.035)

6—13 აგვისტო 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ქართული ხალხური სიმღერა— ყველა სოფელში!

დედოფლისწყაროში ტრადიციული მუსიკის შესწავლის მიზნით ახალი პროექტი იწყება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 6 სოფელში შეიქმნა ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერისა და გალობის გუნდი. 6 წლიდან 18 წლის ჩათვლით ახალგაზრდები უფასოდ შეისწავლიან მუსიკალურ ფოლკლორს, ქალაქურ სიმღერებსა და საეკლესიო საგალობლებს.

გუნდი აქტიურად მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში, ფესტივალებსა და პროექტებში.

მაჩხაანისა და არბოშიკის გუნდის ხელმძღვანელი იქნება ლექსო გრემელაშვილი,ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის გუნდის ხელმძღვანელი - ანა ლოლაშვილი, სამთაწყაროს გუნდს კი ნიკა შანშაშვილი უხელმძღვანელებს.

ანა ლოლაშვილი: „ეს არის პროექტი, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას შეისწავლონ ქართული ტრადიციული მუსიკა (მუსიკალური ფოლკლორი, საეკლესიო საგალობლები, ქალაქური მუსიკა), შეცვალოს თითოეული მოზარდის მომავალი და სოფლის რუტინა.

დედოფლისწყაროს მაჟორიტარის, დავით სონღულაშვილისა და ჰ. გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლის დამაარსებლის დათო ცინცაძის ინიციატივით ქიზიყის სოფლებში შეიქმნა გუნდები. ქართული ხალხური სიმღერა ყოფისგან განუყოფლად არსებობს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მუსიკალური ფოლკლორი დაუბრუნდეს სოფელს.ამ იდეის ირგვლივ გავერთიანდით და ბედნიერი ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა ჩემი წვლილი შევიტანო ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის სოფლების მუსიკალურ ცხოვრებაში. გუნდის მიზანია: ჩვენი ტრადიციების აღდგენა, შესწავლა და მათი პოპულარიზაცია.

მინდა პირველ რიგში მადლობა გადავუხადო ჩემს ბავშვებს დაინტერესებისთვის, მონდომებისთვისა და დაუღალავი ჩართულობისთვის. მათ მშობლებს ბავშვების ხელშეწყობისთვის. ზემო და ქვემო ქედიდან ბავშვები გადიან კილომეტრებს, რათა შეძლონ არხილოსკალოში რეპეტიციაზე დასწრება, მაგრამ მახარებს და მაოცებს ის ფაქტი, რომ შეუძლიათ მთელი დღე დაუთმონ ამ საქმეს. დღეს პირველი ერთობლივი წირვა ჩავატარეთ არხილოსკალოში, რასაც გადავაბით რეპეტიცია... მათ თვალებში კი დაღლის ნაცვლად მხოლოდ მოწადინებასა და სიხარულს ვხედავდი|“...

ქართული ხალხური მუსიკა სათავეს უძველეს დროში იღებს. იგი თავიდანვე დაკავშირებული იყო ჩვენს წინაპართა ყოფასთან. მასში, როგორც სარკეში, არეკლილია ქართველი ერის უმდიდრესი ისტორია, სულიერი მისწრაფებანი, ზნეობრივი სისპეტაკე, კაცთმოყვარეობა, პატრიოტული და გმირული შემართება. ხალხური მუსიკა ოდითგანვე ერის სულიერ საზრდოს წარმოადგენდა და ქართველი კაცის ყოველ სამეურნეო თუ ყოფით საქმიანობას უკავშირდებოდა. მღეროდნენ ომის, შრომის, ავადმყოფობის, მხიარულების, მწუხარების დროს. სიმღერა სწორედ ის ძალა იყო, რომელიც გაჭირვებაში მხნეობასა და სიმტკიცეს მატებდა. ამიტომაც უფრთხილდებოდა ქართველი კაცი თავის მრავალსაუკუნოვან მუსიკალურ ენას.

C M Y K

საჯარო მოხელეების ხელფასები იზრდება

2026 წლამდე, ყოველ წელს, მინიმუმ 10%-ით გაიზრდება საჯარო მოხელეების ხელფასები. ჯამში, დაახლოებით, 50%-იანი მატება გამოვა უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, სახელმწიფოს მაღალი ეკონომიკური ზრდის გამო დამატებითი შემოსავლები გაუჩნდა და ამიტომ სექტემბერში ბიუჯეტის კორექტირება მოხდება.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ დამატებითი შემოსავლები უფრო მეტი პროექტის დაფინანსების საშუალებას მისცემს მთავრობას.

„ჩვენ, სავარაუდოდ სექტემბრის თვეში მივმართავთ პარლამენტს და მოვახდენთ ბიუჯეტის კორექტირებას. ბიუჯეტი გაიზრდება, ვინაიდან დამატებითი შემოსავლები გაუჩნდა სახელმწიფოს ასეთი მაღალი ეკონომიკური ზრდის გამო და, რა თქმა უნდა, უფრო მეტი თანხები გვექნება გასანაწილებელი უწყებების მიხედვით, უფრო მეტი პროექტი დაფინანსდება. კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის შრომითი ანაზღაურება იზრდება. მინდა ასევე, შევახსენო საზოგადოებას, რომ წლების განმავლობაში, დაახლოებით 2017 წლიდან 2020 წლამდე, პრაქტიკულად არცერთ წელს არ გაზრდილა ხელფასები საჯარო სექტორში, რაც, ვფიქრობ, დიდი შეცდომა იყო. ჩვენ თუ შევადარებთ კერძო სექტორსა და საჯარო სექტორში არსებულ შრომით ანაზღაურებას, ჩამორჩენა არის საგრძნობი და ამას სჭირდება მოწესრიგება. ამიტომ, ჩემი დავალებით, წელს, იანვარში დავიწყეთ ამის მოწესრიგება. იანვარში 10%-ით გაიზარდა ხელფასი ყველა საჯარო მოხელისთვის. ახლა უკვე ფინანსთა მინისტრმა წარმოადგინა ჩვენი ხედვა, განისაზღვრა კრიტერიუმები და დადგენილებით უკვე მოწესრიგდება აღნიშნული საკითხი, რაც გულისხმობს შემდეგს, რომ 2026 წლამდე, ყოველ წელს, მინიმუმ 10%-ით გაიზრდება საჯარო მოხელეების ხელფასები. ჯამში, დაახლოებით, 50%-იანი მატება გამოვა უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ამ ტენდენციებს, პროცესს, დინამიკას სჭირდება შენარჩუნება, კიდევ უფრო მეტი აქტიურობა გვჭირდება სამინისტროებს, მეტი კარგი ინიციატივები, რომლებსაც ძალიან მალე გავაჟღერებთ და დავიწყებთ სექტემბრიდან. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა სტაბილურობის მნიშვნელობას, რომელიც ჩვენ, ჩვენმა გუნდმა, მთავრობამ, მმართველმა გუნდმა შევინარჩუნეთ ამ რთულ პერიოდში და კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა მოსახლეობას, ჩვენს ხალხს ვუთხრა, რომ ჩვენთან შენარჩუნდება მშვიდობა, სტაბილურობა, მაღალი ეკონომიკური ზრდა, რაც ნიშნავს მეტ კეთილდღეობას ჩვენი მოქალაქეებისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ვინ იქნება სახალხო დამცველი?

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სახალხო დამცველის პოსტზე სავარაუდო სამი კანდიდატურა - თამარ ჩუგოშვილის, ზაზა ხუციშვილის და ნიკოლოზ თათულაშვილის კანდიდატურა მოიაზრება. თამარ ჩუგოშვილი მედიასთან ინფორმაციას უარყოფს, ინფორმაციას არ ადასტურებს არც ზაზა ხუციშვილი. თათულაშვილის პოზიცია კი ჯერჯერობით უცნობია. სახალხო დამცველის არჩევას კვალიფიციური უმრავლესობა - 90 ხმა სჭირდება. მოქმედ სახალხო დამცველს უფლებამოსილების ვადა მიმდინარე წლის დეკემბერში გასდის. რაც შეეხება ხელისუფლების პოზიციას, პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, სახალხო დამცველის პოსტზე არცერთ კანდიდატთან დაკავშირებით მსჯელობა არ მიმდინარეობს. მისივე თქმით, 1 სექტემბრამდე ოპოზიციას შესთავაზებენ ფორმატს და პროცედურას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ომბუდსმენის პოსტზე თანაბრად მისაღები კანდიდატურის წარდგენა.

„1 სექტემბრამდე ოპოზიციას შეთავაზებთ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ომბუდსმენად არჩეული იყოს პირი, რომელიც თანაბრად მისაღები იქნება როგორც უმრავლესობისთვის, ასევე ოპოზიციისთვის. პროცედურა იქნება და საზოგადოება კანდიდატს ნახავს. საუბარი იმაზე, თითქოს დღეს ეს საკითხი გადაწყვეტილია, ეს თეორიულადაც გამორიცხულია, რადგან პარლამენტში არც ერთ პარტიას არ აქვს ის უმრავლესობა, რომ სახალხო დამცველი აირჩიოს. ამ საკითხზე დეპუტატებს თანამშრომლობა დასჭირდებათ. დაზუსტებით გეუბნებით, რომ ოპოზიციას ფორმატს შევთავაზებთ, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ის, რომ თანაბრად მისაღები იყოს კანდიდატები როგორც ოპოზიციისთვის, ასევე უმრავლესობისთვის“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, მიხეილ სარჯველაძე კი ამბობს, რომ წინასწარ ამ პროცედურების შეუთანხმებლად და გაუვლელად, რომელიმე კანდიდატურის მიმართ ჩამოყალიბებული პოზიციის ქონა დაუშვებელია“.

„ახლა არ ივარგებს რაიმე კონკრეტულის თქმა კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით, როგორც შესაძლო კანდიდატებზე. მგონია, რომ ეს პირიქით, გააღრმავებს ამ შემთხვევაში შესაძლო ინსინუაციებს თემის ირგვლივ და არა რომელიმე კონკრეტული პერსონალის მიმართ. 12-პუნქტიანი გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია ერთ-ერთ საკითხად ომბუდსმენის შერჩევა და ამ შემთხვევაში, პროცედურებზე კეთდება აქცენტი. რასაკვირველია, ასეთ დროს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ყველა პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ამ საკითხს და ოპოზიციის მხრიდან უბრალოდ კანდიდატურების ასე პირდაპირ დასახელება ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, გაგრძელებაა ერთგვარად, მათი დესტრუქციული დამოკიდებულების. უმჯობესია ერთობლივად ჩამოვყალიბდეთ, თუ როგორი პროცედურით ვიმუშავებთ და შევარჩიოთ მაქსიმალურად სამართლიანი კანდიდატურა, რომელიც ეყოლება ჩვენს ქვეყანას ახალი ომბუდსმენის სახით“, - ამბობს სარჯველაძე. საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი ომბუდსმენის არჩევის საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში არასამთავრობო სექტორს შეხვდა.

„ვფიქრობთ, სადღაც 10 დღეში უკვე ფორმირებული იქნება ჩვენი პოზიციები - პროცესს ისე ვხედავთ, როგორც სამოქალაქო სექტორი, რომ მათი ფართო ჩართულობით უნდა მოხდეს ომბუდსმენის კანდიდატების წარდგენა პარლამენტში, რომელზეც უნდა მოხდეს 90 ხმის კონსოლიდაცია“, - განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებლის“ თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ. როგორც მან აღნიშნა, „ქართული ოცნება“ შეეცდება მისთვის სასურველი კანდიდატი წარადგინოს და თუ ვინმე ოპოზიციიდან მათ ომბუდსმენის არჩევისთვის საჭირო 90 ხმას შეუვსებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი „ქართულ ოცნებაში“ გადადიან“.

„ჩვენ წარმოგიდგენთ მთლიანად არასამთავრობო სექტორის ხედვას, როგორ წარმოგვიდგენია ომბუდსმენის კანდიდატების შერჩევა და წარდგენა პარლამენტისთვის, გვეყოლება რამდენიმე კანდიდატი და შევთავაზებთ პარლამენტს,- ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ ხელმძღვანელმა ბაია პატარაიამ ჟურნალისტებთან, საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილისა და არასამთავრობო სექტორის შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, მათ აქვთ უკვე კონკრეტული ხედვა, როგორ უნდა ნარიმართოს პროცესი სამართლიანად და გამჭვირვალედ იმისთვის, რომ მოხერხდეს დამოუკიდებელი ომბუდსმენის არჩევა.

„მალე წარმოგიდგენთ მთლიანად არასამთავრობო სექტორის ხედვას, როგორ წარმოგვიდგენია კანდიდატების შერჩევა და წარდგენა პარლამენტისთვის... ჩვენ გვეყოლება რამდენიმე კანდიდატი, რასაც შევთავაზებთ პარლამენტს. 5 წლის წინ „ქართული ოცნება“ თანახმა იყო მოდელზე, რომ არასამთავრობო სექტორს წარედგინა კანდიდატები, შეიძლება წელს ამაზე უარი თქვან, თუმცა, ჩვენ საზოგადოებას დავანახებთ კანდიდატების შერჩევის ჯანსაღ, ღია პროცესს, სადაც ჩვენს მიერ წარდგენილი კანდიდატები იქნებიან კვალიფიციური და დამოუკიდებელი“, - თქვა პატარაიამ.

დედოფლისწყაროს საავადმყოფოში ხელფასები გაიზარდა

1 აგვისტოდან დედოფლისწყაროს საავადმყოფოში დასაქმებულ მედიკოსებს ხელფასები გაეზარდა. ინფორმაცია გაზეთ „შირაქს“ საავადმყოფოს დირექტორმა ხათუნა აგლაძემ დაუდასტურა. მისი თქმით, ამჯერად მატება ყველა კატეგორიის სპეციალისტს და პერსონალს შეეხო. ქვეყნის მასშტაბით ეს ერთერთი ყველაზე მაღალპროცენტიანი სახელფასო ზრდაა.

„შირაქის“ ინფორმაციით, აღნიშნული სახელფასო ცვლილება შეეხება სხვადასხვა კუთხეში მოქმედ 17 საავადმყოფოს 1 030 თანამშრომელს, საუბარია როგორც მედპერსონალზე, ისე ადმინისტრაციის თანამშრომლებზე - ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მათი სახელფასო ანაზღაურება, დაახლოებით, 50%-ით იზრდება.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, რომელსაც ჯანდაცვის უწყება გვაწვდის, მიმდინარე წლის აგვისტოდან, 2 363 640 ლარით გაიზარდა საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგში შემავალი „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ სახელფასო ბიუჯეტი. ჯამში, „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ 6 658 998 ლარით განსაზღვრული სახელფასო ფონდი 9 022 639 ლარამდე გაიზარდა.

„დღეს ყველანაირი პროფესიის საჭიროება აქტუალურია, მაგრამ ბოლო წლებში მედიკოსების შრომა ბევრად დამძიმდა. ამოსუნთქვისა და მოდუნების საშუალება თითქმის არ გვქონდა. პანდემიის პერიოდში, უკვე მესამე წელია, ურთულეს პირობებში ვართ ექიმები და ექთნები. ცნობილია, რომ ბოლო ხანს, „კოვიდ კლინიკა“ კახეთის მასშტაბით მხოლოდ დედოფლისწყაროში იყო შენარჩუნებული და სხვა რაიონების პაციენტებიც აქ მოჰყავდათ. პანდემიის პიკშიც, მაშინ როცა სხვა კლინიკებში ადგილი ფიზიკურად არ იყო, კოვიდ ინფიცირებული პაციენტები დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მთელი ქვეყნიდან შემოჰყავდათ. ამ კუთხით ჩვენი საავადმყოფო ერთერთი გამორჩეული იყო და ბევრი მადლიერი პაციენტი გვყავს. წარმოუდგენელი პერიოდი გავიარეთ ყველამ ერთად. მედპერსონალის სახელფასო ანაზღაურება არც ისე სახარბიელო იყო და მივესალმებით ახლა ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომ საავადმყოფოებში ხელფასები გაზრდება და შედარებით მეტად დაფასდება კლინიკებში ჩვენი შრომა. სასიამოვნოა, რომ „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ კლინიკებს ყველაზე მეტი პროცენტით გაეზარდა სახელფასო ფონდი. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, ეს ჩვენი შრომის დაფასებაა,“ - აცხადებენ მედიკოსები.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში გაზეთ „შირაქს“ უთხრეს, რომ აგვისტოს თვიდან სახელფასო მატება ქვეყნის მასშტაბით ყველა იმ საავადმყოფოს პერსონალს შეეხო, რომლებიც სახელმწიფოს მართვის ქვეშაა. მათივე განმარტებით, კლინიკებში ის სისტემა ამოქმედდა, რომელიც თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მანამდე რამდენიმე ხნით ადრე უკვე დაინერგა. შესაბამისად, მედპერსონალისთვის არსებული მინიმალური ანაზღაურება, დაახლოებით, 30-იდან 50%-მდე იზრდება.

„დიდ სახელმწიფო კლინიკებში დასაქმებული მედპერსონალის ანაზღაურება იზრდება 30%-ით, ხოლო „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ამბულატორიებში დასაქმებულების - 50%-ით. ამ შემთხვევაში ყველა თანამშრომელს გაეზარდა ხელფასი, მედპერსონალსაც და სხვა დასაქმებულებსაც. საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი მართავს მხოლოდ სახელმწიფო კლინიკებს, თუმცა ახლო მომავალში მსგავსი მინიმალური ანაზღაურების სტანდარტის ამოქმედება კერძო კლინიკებშიც იგეგმება. რეგულაცია ეტაპობრივად დაინერგება, “ - აცხადებენ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგში, რომელიც ყველა სახელმწიფო კლინიკას მართავს.

ილია მარტყოფლიშვილი

თამარ გაბუნია განმარტავს, რა კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოუწევთ კლინიკებს, სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად

იმისთვის, რომ 2025 წლიდან სამედიცინო დაწესებულებამ სახელმწიფო პროგრამაში მიიღოს მონაწილეობა, მან გარკვეული კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს, - ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, თამარ გაბუნიამ ჯანდაცვის სამინისტროს იმ რეფორმაზე საუბრისას განაცხადა, რომელიც 2025 წლიდან სამედიცინო დაწესებულებებისთვის საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტის დანერგვას გულისხმობს.

როგორც თამარ გაბუნია განმარტავს, აკრედიტაციის კრიტერიუმები მოიცავს სამედიცინო მომსახურების ხარისხს, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციას და სამედიცინო ინფრასტრუქტურას.

მისივე ინფორმაციით, გამოცდილება აჩვენებს, რომ 18-24 თვეა საჭირო იმისთვის, რომ კლინიკამ რომელიმე სტანდარტს მიაღწიოს.

„საუბარია ცნობილი მაკრედიტირებელი ორგანოების მიერ საერთაშორისო აკრედიტაციაზე, როგორიც არის ჰოსპიტლების აკრედიტაციის საერთაშორისო კომიტეტი, ასევე გერმანული ხარისხის და აკრედიტაციის სტრუქტურა, რომელიც საერთაშორისო დონეზე მუშაობს სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციაზე. აკრედიტაციის კრიტერიუმები ითვალისწინებს არაერთ მოთხოვნას.

კრიტერიუმებში გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული კომპლექსური მოთხოვნები, რაც მთავარია სამედიცინო მომსახურების, სტანდარტული ოპერაციული პროცედურების არსებობა, პერსონალის მომზადების დონე, მონაწილეობა უცხოეთის სამედიცინო განათლების პროცესებში, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს მექანიზმები აპრობირებულია საერთაშორისო დონეზე და ნამდვილად მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

იმისთვის, რომ 2025 წლიდან სამედიცინო დაწესებულებამ სახელმწიფო პროგრამაში მიიღოს მონაწილეობა, მან კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს. აკრედიტაცია ერთ-ერთი პირობა იქნება. მოსამზადებელი პერიოდი ჯერ კიდევ წინ არის, გამოცდილება ამბობს, რომ 18-24 თვეა საჭირო იმისთვის, რომ კლინიკამ რომელიმე სტანდარტს მიაღწიოს.

აღსანიშნავია, რომ საუბარია, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხარისხის კრიტერიუმების დადგენაზე, კონკრეტული აკრედიტაციის არმქონე კლინიკას არ ჰქონდეს სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის უფლება“, - აღნიშნავს გაბუნია.

ელიაობა 2022



პანდემია თითქმის დასრულდა და ელიაობის აღნიშნვა კვლავაც ტრადიციული მასშტაბებით დაიგეგმა, გალა კონცერტითა და საპატიო დედოფლისწყაროელების გამოვლენით. თუმცა, გუდაურში დატრიალებულმა ტრაგედიამ მერიის გეგმები ისევ შეცვალა. მესამე წელია ღონისძიებების გარეშე ჩაიარა ელიაობამ და არ ჩატარდა „დედოფლისწყაროობა“.

1 აგვისტოს დედოფლისწყაროში წმინდა სერაფიმე საროველის ხსენების დღე აღინიშნა. ცნობილია, რომ ამ წმინდანის სახელობის პირველი ტაძარი სწორედ სოფელ სამრეკლოში მოქმედებს. ამიტომ, სერაფიმე საროველის სახელობის ახლადაღდგენილი ტაძარი ამ დღეს გამორჩეულად აღნიშნავს. სტუმრიანობა იყო ახლაც. მეუფე დიმიტრის გარდაცვალების გამო სადღესასწაულო წირვა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, თეოდორე ჭუაძემ აღავლინა, რომელიც ხორნაბუჯის, ჰერეთის და ნეკრესის ეპარქიის დროებითი მმართველია. მიტროპოლიტი თეოდორე დედოფლისწყაროს წალკელ ეპისკოპოს გრიგოლ კაციასთან ერთად ეწვია. წირვას ეპარქიის სხვა სასულიერო პირებიც ესწრებოდნენ.

შემდეგ იყო ტრადიციული ღამისთევა ელიას მთაზე. დღესასწაულთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს წმ. ელია თეზბიტელის სახელობის ტაძარში საზეიმო წირვა ჩატარდა, რომელსაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად დაესწრო.

მაღალი სიცხის მიუხედავად, ელიას მთაზე, ღამით დაწყებული ნაკადი არც დღის განმავლობაში შენყვეტილა. დიდი ხნით რაიონიდან წასული ადამიანების დიდი ნაწილი დედოფლისწყაროში სწორედ ელიაობისთვის ჩამოდის. ასე იყო ახლაც, ბევრს თან სტუმრებიც ახლდა.

„ყოველ წელს ამოვდივართ ელიას მთაზე. გვწამს და ტრადიციად გვაქვს, რომ ორ აგვისტოს ეს მთა უნდა მოვილოცოთ და სანთელი ავანთოთ. ბევრს აქ ქათამი და ცხვარიც ამოჰყავს და სალოცავს სწირავენ. ნათესავებიც წამოვიყვანეთ, რომლებიც საზღვარგარეთიდან ჩამოვიდნენ სტუმრად, ძალიან მოეწონათ ელიას მთა და უნიკალური ხედები, რომლებიც ამ სალოცავიდან გარშემო იშლება. ყველა დედოფლისწყაროელს და მის სტუმარს მინდა მივულოცო ეს დღესასწაული. ელიის მადლი ჰფარავდეს მთელ დედოფლისწყაროს და სრულიად საქართველოს,“ – აღნიშნავდნენ მომლოცველები..

მერიამ პირობა დადო, რომ გადადებული ღონისძიებები და „დედოფლისწყაროობა“ ორი კვირის ვადაში გაიმართება. უკვე ითქვა, რომ კონცერტი 16 აგვისტოს ჩაინიშნა.

ილია მარტყოფლიშვილი

სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამა

პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გამოაცხადა სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების სახელმწიფო პროგრამის შესახებ. დახმარების შეწყვეტის შიშით ხშირად ისინი დასაქმებაზე უარს აცხადებდნენ, რადგან ხელფასის ჩარიცხვისთანავე სააგენტო დახმარებას უხსნიდა. შეიქმნა ვითარება, როცა შრომისუნარიანი მოქალაქეების „სიზარმაცე“ სახელმწიფომ წააქეზა, რომელიც უმუშევრობისკენ, ან არაოფიციალური შემოსავლის მიღებისკენ უბიძგებდა მათ. მრავალი წელი გრძელდებოდა ეს არაჯანსაღი მიდგომა. ამჯერად კი ხელისუფლებამ მათ დამატებით 300 ლარიანი ხელფასის სანაცვლოდ საკუთარ სოფელში დასაქმება შესთავაზა და პირობაც მისცა, რომ დახმარებაც შეუნარჩუნდებათ. როგორც ჩანს, ღარიბაშვილის საჭირო ინიციატივამ დედოფლისწყაროშიც დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ პროგრამით დედოფლისწყაროში ამჟამად 200-მდე ადამიანია დასაქმებული. მათ ძირითადად მსუბუქი და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობის ჩატარება ევალებათ.



როგორც „შირაქმა“ გაარკვია, სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამით ქედების ზონაში დასაქმებული სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეები სოფლებში დასუფთავებას განაგრძობენ. ამ ჯგუფების ქედების ზონის კოორდინატორი შალვა ხორნაული გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ მათი ჯგუფი საზოგადოებრივი ადგილების სისუფთავეზე ყოველდღიურად ზრუნავს. ხორნაულის განმარტებით, მუშაობა მიმდინარე წლის აპრილის თვიდან დაიწყეს. მანამდე ამ სოფლებიდან მუნიციპალიტეტს ნაგავი პერიოდულად გაჰქონდა, თუმცა მეეზოვეებს ადგილზე არასოდეს უმუშავიათ. ბოლო თვეებში კი მათი ხელი სოფლებს უკვე დაეტყო. პროგრამა ორმაგად სასარგებლო აღმოჩნდა, დამატებითი სარგებელი მიიღო გაჭირვებულმა ხალხმა, სახელმწიფომ კი მუშახელი საზოგადოებრივი სარგებლობისთვის გამოიყენა.

„ჩვენს ჯგუფებს ევალება სოფლებში არსებული სკვერების, მოედნების დასუფთავება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, გარე განათებების ყოველდღიური კონტროლი. ადამიანებს შორ მანძილზე სიარული რომ არ მოუწიოთ, ყველა მათგანი საკუთარ სოფელშია დასაქმებული, ყოველშემთხვევაში ჩვენთან ასეა, სხვა ზონებში ვერ გეტყვით. მაგალითისთვის: სოფელ სამთაწყაროში 4 აგვისტოს დავასუფთავეთ ცენტრალური ქუჩა თავიდან ბოლომდე, ჩამოსასვლელებში წვიმის შედეგად ჩამოტანილი იყო ქვიშა-ხრეში, რომელიც გაქვავებული იყო და ის ნაშალი მთლიანად ავიღეთ, გაიწმინდა ტერიტორია. სამთაწყაროში სულ 16 დასაქმებულია,“ – აღნიშნა შალვა ხორნაულმა.

გასულ კვირას მათი ჯგუფის არხილოსკალოელმა დასაქმებულებმა არხილოსკალოს სპორტული არენა და მისი ეზო დაასუფთავეს. ხორნაულის თქმით, სოფელ არხილოსკალოში ამ პროგრამით 13 ადამიანი დასაქმდა.

სოფელ ზემო ქედში აღნიშნული პროგრამით ხელფასს 19 სოციალურად დაუცველი ადამიანი იღებს. ჯგუფმა უკვე დაასუფთავა ზემო ქედის ცენტრში არსებული გმირთა მემორიალის სკვერი და მიმდებარე ტერიტორია, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები.

გაზეთი „შირაქი“ არკვევს, კიდევ გაიზრდება თუ არა ამ პროგრამით დასაქმებული ადამიანების რიცხვი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით და რა საქმიანობებს განახორციელებენ ეს ჯგუფები. რედაქცია ამ პროცესს თვალყურს ყურადღებით მიადევნებს და ახალ ცნობებს მომავალშიც ინტენსიურად მოგაწვდით.

ილია მარტყოფლიშვილი

კალია – ყოველწლიური პრობლემა მინდორში

კალიების გავრცელება ყოველწლიურ პრობლემად იქცა. სურსათის ეროვნული სააგენტო იტყობინება, რომ მავნებელის გავრცელების კუთხით ყველაზე რთული ვითარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მინდვრებშია. უწყების ცნობით, განსაკუთრებით დიდი ოდენობა სწორედ აქ შეინიშნება. ადგილობრივებიც წუხან, რომ მინდვრის გარდა კალიებს ეზოებშიც ნახულობენ, რომლებიც მცენარეებს ანადგურებენ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, კალიების საწინააღმდეგოდ, აღმოსავლეთ საქართველოში 80 ათასი ჰექტარი ფართობი უკვე დამუშავებულია. მათივე ინფორმაციით, აღმოსავლეთ საქართველოში კალიებთან ბრძოლის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. კახეთის რეგიონში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, იტალიური და მაროკოული კალიების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა აღინიშნება, რაც საფრთხეს უქმნის ამ ტერიტორიაზე არსებულ მრავალწლოვან და ერთწლოვან სასოფლო-სამეურნეო კულტურებს.

„სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი კალიების საწინააღმდეგო ღონისძიებების მიმდინარეობას დედოფლისწყაროში ადგილზე გაეცნო. კალიების საწინააღმდეგო ღონისძიებებს სურსათის ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს. შედეგად, მცირდება მავნებლის რაოდენობა და შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მწვანე საფარის დაზიანების ფაქტები.

სააგენტოს მცენარეთა დაცვის სპეციალისტები, სპეციალიზებული ტექნიკითა და პრეპარატებით ინტენსიურად ამუშავებენ ფართობებს. ფერმერების განცხადებით, გატარებული ღონისძიებების შედეგად, მავნებლის რაოდენობა შემცირდა, რაც ხელს უწყობს ნათესების გადარჩენას. კალიების მსგავსი კონცენტრაცია ამ ტერიტორიისთვის მაღალი ტემპერატურის პირობებში დამახასიათებელი მოვლენაა და სპეციალური სითხით დამუშავების შემდეგ მათი გავრცელება შეჩერდება.

აღმოსავლეთ საქართველოში, კალიებისს საწინააღმდეგოდ 80 ათასი ჰექტარი ფართობი უკვე დამუშავებულია, მათ შორის, კახეთში 21 000 ჰა, ქვემო ქართლში 45 000 ჰა, მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში 14 000 ჰა.

მაროკოული და იტალიური კალია არის მავნებელი, რომელიც აზიანებს მარცვლოვან, ბოსტნეულ-ბაღჩეულ და მრავალწლოვან კულტურებს, იკვებება მცენარის მწვანე საფარით და, ხშირად, მთლიანად ანადგურებს ნათესებსა და ნარგავებს“,– აღნიშნულია ინფორმაციაში.

„კალიების პრობლემა დედოფლისწყაროს მინდვრებში ბოლო წლებში მუდმივად იყო, მაგრამ წელს პირველად შევნიშნე, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში, ეზოებში პატარა ზომის მწვანე კალიები, რომელთა სიგრძე 1 სანტიმეტრს არ აღემატება, ვაზის თალარზე ახალ ფოთლებს მასიურად ძოვენ. ასევეა ეზოს ვარდის ფოთლებიც გაძოვილი. წინა კვირას შევნიშნეთ, აქამდე ასე არ ყოფილა. დავხოცეთ, მაგრამ შევნიშნეთ, რომ ისევ ასხდებიან. ძირითადად ნორჩ, ახლადამოტანილ ყლორტებს ძოვენ. იმედს ვიტოვებთ, მალე მოისპობა და მეტ ზიანს აღარ მოგვაყენებს,“ – აღნიშნავენ დედოფლისწყაროელები.

ილია მარტყოფლიშვილი

თელავში მზის პანელები დამონტაჟდა



საქართველოს ბანკის მხარდაჭერით კომპანია „ელგიმ“ მზის პანელები დაამონტაჟა. საქართველოს ბანკი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას განაგრძობს. ბანკისა და კომპანია „ელგის“ პარტნიორობის ფარგლებში, კახეთში, ქალაქ თელავში, მზის ელექტროსადგურები დამონტაჟდა. ბანკთან თანამშრომლობით კომპანია წლიურად 150 მეგავატის გამომუშავებას შეძლებს. მზის ელექტროსადგურის მშენებლობის შემდეგ კომპანიის ელექტროენერგიის დღიური გამომუშავება უკვე 300 ლარს შეადგენს. კომპანია წელიწადში 48 000 ლარამდე თანხას დაზოგავს, რასაც კვლავ საკუთარი ბიზნესის განვითარებას მოახმარს.

პროექტის ჯამური ბიუჯეტი 1 365 000 ლარია, ბანკის თანამონაწილეობა კი 1 145 000 ლარს შეადგენს.

„საქართველოს ბანკთან უკვე რამდენიმე წელია ვთანამშრომლობთ და მოხარული ვართ რომ ახალი პროექტიც სწორედ მათი მხარდაჭერით განვახორციელეთ. კომპანია „ელგი“ ოპერირებს ბაზარზე სასტუმრო „ალაზნის ველით“, რომელიც მდებარეობს კახეთის შუაგულში, ისტორიულ ქალაქ თელავში. სასტუმრო მოიცავს 50 ნომერს, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტიპის სასტუმროსათვის განკუთვნილი ყველა საჭირო აქსესუარით. სასტუმრო ასევე მოიცავს საუკეთესო ქართულ რესტორანსა და ტერასას, სადაც სტუმრებს შეუძლიათ დააგემოვნოთ ტრადიციული ქართული სამზარეულოს კერძები და საქვეყნოდ ცნობილი ქართული ღვინოები. სწორედ ამ სასტუმროსთვის დამონტაჟდა მზის ელექტროსადგური, რომელიც გაზრდილი ელექტროენერგიის საფასურის ფონზე, მნიშვნელოვნად დაგვიზოგავს გადასახადს და მოგცემს შესაძლებლობას, დაზოგილი თანხა კვლავ ბიზნესის განვითარებას მოვახმაროთ“, - განაცხადა კომპანიის დირექტორმა, კონსტანტინე მახათელაშვილმა.

შეგახსენებთ, საქართველოს ბანკმა გარემოზე ზრუნვის, ელექტროენერგიის წყაროს ჩანაცვლებისა და ხარჯის შემცირების მიზნით დანერგა ეკომეგობრული პროდუქტი - ენერგოკრედიტი მზის ელექტროსადგურებისთვის. ინიციატივის ფარგლებში, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, შეიძინოს და დაამონტაჟოს დანადგარები, შედეგად კი, მიიღოს ელექტროენერგიის ალტერნატიული წყარო. აღნიშნული პროდუქტის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მზის სხივების ელექტროენერგიად გარდაქმნა პროცესებს მაქსიმალურად ეკომეგობრულს ხდის. ეკოლოგიაზე ზრუნვასა და ხარჯების შემცირების პარალელურად კი, მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა, გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსი საკუთარი ბიზნესის განვითარებას მოახმაროს.

სასწრაფო დახმარება ტურისტებისთვისაც უფასოა

ჯანდაცვის სამინისტრო ეხმაურება გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურება ტურისტებისთვის ფასიანია და განმარტებას აკეთებს:

„გვსურს, გამოვეხმაუროთ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო დახმარების მომსახურებაზე ფასის დაწესებას ეხება.

აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მომსახურება საქართველოს ყველა მოქალაქისთვის და საქართველოში ჩამოსული სტუმრებისთვის არის და იქნება უფასო.

საზოგადოების ინფორმირებისთვის განვმარტავთ, რომ კერძო სადაზღვევო კომპანიებისთვის გაკეთდა დამატებითი არასტანდარტული მომსახურების შეთავაზება. აღნიშნულის შესახებ კი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

„საქართველოს ყველა მოქალაქისთვის როგორც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის, ისე კერძო სადაზღვევო კომპანიების ბენეფიციართათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურება არის და რჩება უფასო. ამ მიმართულებით არანაირი ცვლილება არ იგეგმება. რაც შეეხება წერილს, აღნიშნულ წერილში იყო შეთავაზება კერძო სადაზღვევო კომპანიებისთვის, რომ დამატებითი არასტანდარტული მომსახურებისთვის დაუწესდეთ ტარიფი. ეს შეეხება რომელიმე კერძო, საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე კლინიკაში ჰოსპიტალიზაციას, ასევე სხვა ღონისძიებებს, რაც შესაძლოა დასჭირდეთ სადაზღვევო კომპანიებს“ , - განაცხადა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ილია ღუდუშაურმა.

ოთხწლიან სამომხმარებლო სესხს ვეღარ აიღებთ

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დღეს ფიზიკური პირების დაკრედიტების ტემპის შემცირების მიზნით, ახალი გადაწყვეტილება მიიღო. არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადიანობა, რაც ამჟამად 4 წლით არის განსაზღვრული, 3 წლამდე შემცირდება. ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის განცხადებით, არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო კრედიტების მაქსიმალური ვადის შეზღუდვა 15 აგვისტოდან ამოქმედდება და ის ერთი წლის განმავლობაში იქნება ძალაში.

„როგორც მოგეხსენებათ, 2019 წელს ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო ამოქმედდა, რამაც შეაჩერა სესხების ჭარბი ზრდიდან მომდინარე ფინანსური რისკები და ამავე დროს ხელი შეუწყო სესხების უფრო პროდუქტიულ სექტორებში გადამისამართებას.

მიმდინარე პერიოდში სამომხმარებლო სესხების ჭარბი ზრდის ინფლაციაზე დამატებითი ზეწოლის შემცირების მიზნით, მიზანშეწონილად მივიჩნევთ სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადის შემცირება. ამ ცვლილების გაანალიზების და საბანკო სექტორთან განხილვის შემდეგ, მივიღეთ გადაწყვეტილება ვადის 3 წლამდე შემცირების შესახებ. ეს ცვლილება ძალაში 15 აგვისტოდან შევა და ერთი წლის განმავლობაში იქნება ძალაში," - განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შეფასებით, ეს ცვლილება სამომხმარებლო დაკრედიტების ზრდის ტემპს შეამცირებს.

6 თვეში საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევებს 221 ადამიანი ემსხვერპლა

6 თვეში სულ 2 572 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მათ შორის 92 სიმთვრალით იყო გამოწვეული. ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 3 538 ადამიანი დაშავდა.

2022 წლის იანვარი-ივნისის ჩათვლით, საქართველოში 2 572 საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, დაილუპა 221, ხოლო დაშავდა 3 538 ადამიანი, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 17%-ით აღემატება.

ამის შესახებ ინფორმაციას „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ შსს-ს ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ავრცელებს. ორგანიზაციის ცნობით, ავტოსაგზაო შემთხვევებიდან 1 194 დედაქალაქში მოხდა, დაშავდა 1 456, ხოლო დაიღუპა 34 პირი. ამასთან, მიმდინარე წლის 6 თვეში, 16 წლამდე 10 მოზარდი დაიღუპა, ხოლო 408 მოზარდმა ტრავმა მიიღო.

2021 წლის ამავე ორი კვარტლის განმავლობაში 2762 საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, დაიღუპა 189, ხოლო დაშავდა 3593 ადამიანი.

„საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ თავმჯდომარე ეკა ლალიაშვილის ინფორმაციით, წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით საგზაო სატრანსპორტო შემთხვევები 7%-ით შემცირდა.

„მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით საგზაო სატრანსპორტო შემთხვევები შემცირებულია 7%-ით, დაზიანებები 1,5 %-ით, ხოლო ლეტალობა გაზრდილია 14,5 %-ით. შემთხვევათა 7%-იანი კლების ფონზე დაღუპულთა ოდენობის 14,5 %-ით ზრდა იმას მიგვანიშნებს, რომ სერიოზული გამოწვევების წინაშე ვდგავართ და მიუხედავად ავტოავარიების შემცირებისა, გზებზე მსხვერპლი გვეზრდება.

საერთაშორისო გამოცდილება „უსაფრთხო სისტემის“ (Safe System) დანერგვისკენ მოგვიწოდებს, რაც იმას გულისხმობს, რომ საგზაო შემთხვევები შესაძლოა მოხდეს, მაგრამ ისინი ლეტალურად და მძიმე შედეგებით არ უნდა სრულდებოდეს. მიმდინარე სტატისტიკა კი გვაუწყებს, რომ საგზაო შემთხვევების შემცირების ფონზე სიკვდილიანობა მკვეთრად იზრდება. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ საერთაშორისო გამოცდილება და ქვეყანაში შეიქმნას საგზაო უსაფრთხოების ფონდი, რომელიც მეტი ადამიანური თუ ფინანსური რესურსით მიზანმიმართულად იზრუნებს „უსაფრთხო სისტემის“ დანერგვაზე, რაც ითვალისწინებს მეტ მუშაობას ინფრასტრუქტურისა თუ ტრანსპორტის უსაფრთხოების საკითხებზე, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ქცევის გაუმჯობესებაზე, საგზაო შემთხვევის შემდგომი პირველადი სამედიცინო დახმარების დროულად/კვალიფიციურად გაწევაზე და სხვა ძირეულ საკითხებზე“, - აცხადებს „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ თავმჯდომარე ეკა ლალიაშვილი.

ამასთან, საქსტატის თანახმად, მიმდინარე წლის პირველ ორ კვარტალში საქართველოში 5 574 ხანძარი დაფიქსირდა. გარდაიცვალა 32 ადამიანი და ტრავმა მიიღო 98-მა მოქალაქემ. ხანძრის შედეგად 195 შენობა-ნაგებობა განადგურდა.

რაც შეეხება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა სტატისტიკას, მიმდინარე წლის პირველ ორ კვარტალში მოძალადეთა რაოდენობამ 3 735 ადამიანი შეადგინა. მათგან 3 152 კაცი, ხოლო 583 ქალი იყო. ექვსი თვის მონაცემებით, მსხვერპლი 4 002 ადამიანია. აქედან 3 345 ქალი და 657 კაცი. სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შორისაა 13 წელზე უმცროსი ასაკის 131 ბავშვი.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისში - 1 893 ადამიანი, შემდეგ მოდის ქვემო ქართლის რეგიონი - 430 ადამიანი და კახეთის რეგიონი - 414 ადამიანი.

საქსტატის თანახმად, იანვარ-ივნისის პერიოდში ტრეფიკინგის მუხლით 4 დანაშაულია ჩადენილი და აქედან ერთი საქმეა გახსნილი.

რა პერსპექტივა აქვს „ნაცმოძრაობას“ სააკაშვილის გარეშე?

რა პოლიტიკური პერსპექტივა აქვს ლიდერის გარეშე დარჩენილ „ნაცმოძრაობას“, ეს საკითხი პოლიტიკურ სპექტრში კვლავ აქტუალურია, რადგან პოლიტიკიდან გასვლის შესახებ მიმართვა ამ დრომდე სააკაშვილს თავად არ გაუკეთებია. ცნობილია მხოლოდ ადოკატების განცხადება, რომ მესამე პრეზიდენტი უარს ამბობს „ნაცმოძრაობასა“ და პოლიტიკაზე, რასაც სპეპტიკურად შეხვდა „ნაცმოძრაობა“. პარტიის თავმჯდომარემ ნიკა მელიამ ეს ინფორმაცია ადვოკატების ტაქტიკად შეაფასა, რაც სააკაშვილის ციხიდან საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანას ემსახურება. დანარჩენ ოპოზიციაში რეალურად მიიჩნევენ სააკაშვილის მიერ პოლიტიკიდან გასვლას„გირჩის“ ლიდერის იაგო ხვიჩიას განცხადებით, თანაპარტიელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკიდან წასვლაში დაეხმარონ“.

ოპოზიციონერი დეპუტატი დარწმუნებულია, რომ „ნაცმოძრაობას“ გაუჩნდება შანსი პარტიაში დაიწყოს შიდა დისკუსიები, გაჩნდეს განსხვავებული შეხედულებები, „ახლა „ნაცმოძრაობა“ არის პარალიზებული წარმონაქმნი, რომელიც რიგი მიზეზების გამო ვერაფერს აკეთებს“, - აცხადებს იაგო ხვიჩია. მმართველ გუნდში კი აცხადებენ, რომ მიხეილ სააკაშვილს სასჯელს არანაირი კავშირი არ აქვს მის პოლიტიკურ აქტივობასთან. ექსპერტთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ ის პოლიტიკაში აღარ იქნება, შეიძლება მათი ელექტორატის უმეტესობამ მონაწილეობა აღარც მიიღოს არჩევნებში. ექსპერტები არც იმას მალავენ, რომ ჯერჯერობით სხვა ლიდერი, რომელიც სააკაშვილს უტოლდება, პარტიაში არ ჩანს. პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაია არ გამორიცხავს,რომ იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი გავა პოლიტიკიდან, „ნაცმოძრაობა“ ორად გაიყოფა, თუმცა, დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი პარტიას არასდროს დათმობს. ხოლო ექსპერტი პეტრე მამრაძე მიიჩნევს, რომ სააკაშვილი როგორც ყოველთვის, იტყუება და ყველანაირი ხერხით ცდილობს თავი დააღწიოს ციხეს“.

„სააკაშვილი, რომელიც იოსებ ტროცკის მოწაფეა, შესანიშნავად ასრულებს მის ნათქვამს, რომ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება კარგია. იგი ყველაფერს გააკეთებს, რომ თავი დააღწიოს ციხეს. სააკაშვილი არის პოლიტიკური ტკიპა და მისი განცხადება არ შეიძლება სერიოზულად ჩაითვალოს, მისი სიტყვა არის ფარატინა ქაღალდი. რაც შეეხება მისი პოლიტიკური პარტიის მომავალს, სააკაშვილი პარტიას არასდროს დათმობს, თუმცა, როგორც ჩანს, პარტიაში სერიოზული დაპირისპირებაა და დიდი ალბათობით, „ნაცმოძრაობა“ გაიყოფა, იქნება „ნაცმოძრაობა 2“, - დაასკვნის ვახტანგ მაისაია.

„ადვოკატები იმ განცხადებას, რომ სააკაშვილი პოლიტიკიდან მიდის, დამოუკიდებლად ვერ გააკეთებდნენ, ეს სააკაშვილმა მათ თავად უთხრა. ვინც სააკაშვილს იცნობს, ყველამ იცის, რომ ის ყოველთვის იტყუება, თუ ეს ტყუილი მისთვის მომგებიანია. სააკაშვილმა დიდი ხანია დაინახა, რომ ის კარგავს კონტროლს პარტიაზე, თანაპარტიელები მას იტანდნენ იქამდე, ვიდრე მისი მეშვეობით ჰქონდათ ფინანსური და პოლიტიკური კეთილდღეობა. არა მგონია, რომ „ნაცმოძრაობაში“ დაბნეულობა იყოს, იქ ბევრი მილიონერია და ახლა იმაზე მსჯელობენ, არის თუ არა მათთვის ტვირთი სააკაშვილი, თუ შეიძლება კიდევ იყოს მისგან სარგებელი. არ არის გამორიცხული, რომ პარტია გაიყოს, მაგრამ ძნელია თქმა, რა პროპორციით მოხდება შემადგენლობის გაყოფა. გარდა შეწყალებისა, სააკაშვილის გათავისუფლების სხვა გზა არ არის. თუ ეს მოხდება, ეს იქნება „ოცნებისთვის“ პოლიტიკური კრახის ტოლფასი„- მიიჩნევს პეტრე მამრაძე.

არის თუ არა საზიანო ნივთიერებები ბუნებრივ აირში, რომელსაც ყოველდღიურად მოვიხმართ?

„კვლევა აჩვენებს, რომ გაზზე მომუშავე საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები, თუნდაც გაზქურა და ღუმელი, შესაძლოა, სახლში საშიში ქიმიკატების წყარო იყოს მაშინაც კი, როცა მათ არ ვიყენებთ“, – აცხადებს კვლევის თანაავტორი ჯონათან ბუონოკორი.

ამასთან ერთად, მკვლევრებმა ოდორანტების რაოდენობაც გაზომეს. ისინი არომატული ნივთიერებებია, რომლებიც ჩვეულებრივ უსუნო აირისათვის სუნის მისანიჭებლად გამოიყენება, რათა გარემოში მისი მაღალი კონცენტრაცია შეუმჩნეველი არ დარჩეს.

საგულისხმოა, რომ კვლევის ფარგლებში მეცნიერებს ბუნებრივი აირის გაჟონვა ჯანმრთელობის პრობლემებთან არ დაუკავშირებიათ და არც გარემოზე მისი შესაძლო ზემოქმედება დაუანგარიშებიათ.

რისგან შედგება ბუნებრივი აირი?

ბუნებრივი აირი ძირითადად მეთანისგან შედგება, თუმცა მასში სხვა შედარებით რთული ნახშირწყალბადები და არაორგანული ნივთიერებებიც გვხვდება.

მეთანი ნახშირბადის ატომთან დაკავშირებული ოთხი წყალბადის ატომისგან შედგება. მცირე ზომიდან გამომდინარე, იგი სწრაფად და ეფექტურად იწვის, შედეგად კი ნახშირორჟანგსა და წყალს წარმოქმნის.

ამის გამო ბუნებრივი აირი ყოველდღიური მოხმარებისათვის საკმაოდ მოსახერხებელი საწვავია, თუმცა, რეალურად, თავად მეთანი მძლავრი სათბურის აირია, რომელმაც შესაძლოა, ტრანსპორტირების პროცესისას ნებისმიერ დროს გამოჟონოს.

აირი, რომელიც წიაღისეული საწვავის საბადოებსა და მეთანის სხვა წყაროებთან გროვდება, ბოლომდე სუფთა არ არის – აქ, მარტივებთან ერთად, შედარებით რთული აგებულების მქონე ნახშირწყალბადებიც იყრის თავს, მათ შორის ციკლოალკანები და არომატული ნახშირწყალბადები.

გასათვალისწინებელია, რომ ყველა ეს ნაერთი ჩვენთვის საზიანო სულაც არ არის, თუმცა, მაგალითად, დიდი დოზებით არომატულ ნახშირწყალბადებს კიბოს რისკის გაზრდა და ისეთი რეაქციების ხელშეწყობა შეუძლია, რომლებიც ატმოსფეროს დამაბინძურებელ ნივთიერებებს (მაგ: ოზონი) წარმოქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში ბუნებრივი აირის მიმწოდებლები თავიანთ პროდუქტებს ყურადღებით ადევნებენ თვალს, ამ მეთოდებით ნახშირბადის შემცველი დიდი მოლეკულების შემჩნევა ნაკლებადაა შესაძლებელი. შესაბამისად, მოხმარებული ბუნებრივი აირის ზუსტ შედგენილობაზე მსჯელობა საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით კი ჩვენთან, საქართველოში, სადაც აშშ-სგან განსხვავებით ბუნებრივი აირის შემადგენლობის შესასწავლი კვლევები ნაკლებად ტარდება.

როგორც ნახშირისა და ნავთობის უფრო სუფთა ალტერნატივას, ბუნებრივ აირს ყოველდღიურობაში ძალიან აქტიურად ვიყენებთ. მისი მთავარი კომპონენტის, მეთანის, წვა სხვა თხევად და მყარ ნახშირწყალბადებთან შედარებით გაცილებით ნაკლებ ნახშირორჟანგს წარმოქმნის, თუმცა იგი გარემოს მაინც მნიშვნელოვნად აბინძურებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესაძლოა, ბუნებრივი აირი არა სუფთა სახით, არამედ არაერთ უსიამოვნო მინარევთან ერთად მოგვეწოდებოდეს. სწორედ ამიტომ, მასაჩუსეტსის მკვლევრებმა მისი შედგენილობის შესწავლა გადაწყვიტეს. მათი ნაშრომი გამოცემაში Environmental Science & Technology გამოქვეყნდა.

2019-2021 წლებში მეცნიერებმა დიდი ბოსტონის ტერიტორიაზე 69 გაზქურიდან ბუნებრივი აირის 234 ნიმუში ააგროვეს. დეტალური ანალიზით დადგინდა, რომ სინჯები ტერიტორიის მიხედვით და დროის სხვადასხვა მონაკვეთში ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

მიუხედავად ამისა, მათ შორის მეტად გავრცელებული ასობით უნიკალური ნაერთი იყო, აქედან 21 მათგანი კი – დაახლოებით 7% – საკმარისად დიდი რაოდენობის შემთხვევაში ფედერალური სტანდარტებით სახიფათოდაა მიჩნეული.

ნადირობის სეზონი 27 აგვისტოს გაიხსნება

ნადირობის სეზონი 2022 წლის აგვისტოს მეოთხე შაბათს გაიხსნება. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები უკანონო ნადირობისა და ნადირობის წესების დარღვევის მიმართულებით, ნადირობის სეზონის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით 24-საათიან გაძლიერებულ კონტროლს განახორციელებენ.

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის მსურველი ვალდებულია: ნადირობამდე გადაიხადოს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებელი (10 ლარი); გადახდიდან შვიდი დღის (გადახდის დღის ჩათვლით) განმავლობაში ნადირობის შემთხვევაში თან იქონიოს ამ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი მატერიალური ან ელექტრონული ფორმით; ნადირობისას თან იქონიოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია ინადიროს გადამფრენ ფრინველებზე, გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის გადახდის წლის აგვისტოს მეოთხე შაბათიდან მომდევნო წლის პირველ მარტამდე, ხოლო მოსაკრებლის წლის დასაწყისში (იანვარი ან თებერვალი) გადახდის შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია ინადიროს მოსაკრებლის გადახდის წლის პირველ მარტამდე პერიოდში.

მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220 101 222, ანგარიშის ნომერი: 200122900, ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი: 3033.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები უკანონო ნადირობისა და ნადირობის წესების დარღვევის მიმართულებით, ნადირობის სეზონის ფარგლებში, 24-საათიან გაძლიერებულ კონტროლს განახორციელებენ მთელი საქართველოს მასშტაბით.

მოქალაქეებმა კანონდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, უნდა მიმართონ სამინისტროს ცხელ ხაზს — 153 (ინდექსის გარეშე, ზარი უფასოა, ანონიმურობა დაცულია), რათა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისმა რეგიონულმა სამმართველომ მყისიერი რეაგირება მოახდინოს.

ვრცლად ნადირობის აკრძალული მეთოდებისა და ნადირობისათვის დაშვებული გადამფრენი ფრინველების სახეობების ჩამონათვალი, ნადირობის ვადები და დღიური ლიმიტები, ნადირობის ადგილების მიხედვით, ასევე, განმარტება მოსაკრებლის გადახდისათვის, იხილეთ: **https://mepa.gov.ge/**-ზე“, — ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

უკანონო ტყითსარგებლობის 204 ფაქტი კახეთში

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ივლისში უკანონო ტყითსარგებლობის 204 ფაქტია გამოვლენილი.

ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2022 წლის 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით, უკანონო ტყითსარგებლობის 204 ფაქტი გამოავლინეს. მათ შორის 151 - ხე-ტყის უკანონო მოპოვება-ტრანსპორტირებას ეხება, 53 კი, უკანონო სახერხი საამქროებისა და საამქროების მიერ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის ფაქტებია.

სამართალდარღვევებიდან 16 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

ჯამში, ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 600 კუბურ მეტრამდე ხე-ტყე. ამავე პერიოდში, დაფიქსირდა სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის 50 ფაქტი. ასევე, ამოღებულია 3 ერთეული არარეგისტრირებული სახერხი საამქრო.

მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა,“ - ვკითხულობთ განცხადებაში.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ყველაზე მეტი - 36 ფაქტი გამოვლინდა კახეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე; სამცხე- ჯავახეთში დაფიქსირდა 24 სამართალდარღვევა, აჭარაშიც - 24, იმერეთში - 20, შიდა ქართლში - 13, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 8, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში - 7, გურიაში - 7, ქვემო ქართლში - 6, მცხეთა-მთიანეთში კი, 5 სამართალდარღვევა გამოვლინდა.

სამართალდარღვევა გამოვლინდა დედაქალაქშიც; გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის ივლისში, თბილისში, ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების 1 ფაქტი აღკვეთეს.

ახალი პროგრამა ბიო მეფუტკრეობისა და მევენახეობის ხელშესაწყობად

სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბიოწარმოების შედეგად მიღებულ და ბიოსერტიფიცირებულ პროდუქტებზე მოთხოვნა მზარდია როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე, სახელმწიფო ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებას იწყებს.

საქართველოს მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ბიოწარმოების მსურველ მეწარმეებს ფინანსურ მხარდაჭერას სოფლის განვითარების სააგენტო გაუწევს.

„ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს არაბიომეურნეობიდან ბიომეურნეობაზე გადასვლას, რაც ბიოწარმოების სერტიფიცირების, საკონსულტაციო მომსახურების, ორგანულ მეურნეობაში დაშვებული ორგანული სასუქების ან/და მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ გამოსაყენებელი ბიოპრეპარატების შეძენის, ფუტკრის სამკურნალო ბიოპრეპარატებისა და ბიოფიჭის შეძენის, ასევე თაფლისა და ცვილის წარმოებისათვის ლაბორატორიული ანალიზის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას გულისხმობს“, — აცხადებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

პოტენციური ბენეფიციარისთვის ბიოწარმოების სერტიფიცირების, საკონსულტაციო მომსახურების, თაფლისა და ცვილის ლაბორატორიული ანალიზისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება ერთ პოტენციურ ბენეფიციარზე, განისაზღვრა არაუმეტეს 70%-ით, არაუმეტეს 7000 ლარით, ხოლო, იმ შემთხვევაში თუ პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება — არაუმეტეს 40%-ით, არაუმეტეს 4000 ლარით.

ერთი პოტენციური ბენეფიციარისთვის ორგანულ მეურნეობაში დაშვებული ორგანული სასუქების ან/და მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ გამოსაყენებელი, ბიო პრეპარატების შეძენის ხარჯის ან/და ფუტკრის ბიოპრეპარატებისთვის და ბიოფიჭის შესაძენად გაწეული ხარჯის ანაზღაურება სააგენტოს მიერ განისაზღვრება შემდეგი პირობებით:

მევენახეობის შემთხვევაში — სააგენტოს ანაზღაურება, 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით განისაზღვრება, არაუმეტეს 70%-ით, არაუმეტეს 5100 ლარით, ხოლო, თუ პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება — არაუმეტეს 40%-ით, არაუმეტეს 2900 ლარით. გაწეული ხარჯის ანაზღაურება განხორციელდება არაუმეტეს 5 ჰა-ზე გადაანგარიშებით.

საფუტკრე მეურნეობის შემთხვევაში — სააგენტოს ანაზღაურება ბიოპრეპარატებისთვის და ბიოფიჭის შესაძენად განისაზღვრება არაუმეტეს 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს ერთ სკაზე 50 ლარის ოდენობით, მაგრამ ჯამურად არაუმეტეს 5100 ლარით, თუ პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება არაუმეტეს 40%-ით, მაგრამ არაუმეტეს ერთ სკაზე 25 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 2900 ლარით.

პროექტი ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში განხორციელდება.

აშშ-ში ქართული ღვინის ექსპორტი გაიზარდა

უახლესი მონაცემებით, საქართველო ამერიკის შეერთებულ შტატებში ღვინის იმპორტიორ ქვეყნებს შორის ლიდერის პოზიციას იკავებს.

ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით, ღვინის ეკონომისტთა ამერიკული ორგანიზაცია AAWE (American Association of Wine Economists) ავრცელებს

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ აშშ-ში საქართველოდან იმპორტირებული ღვინის 11.3%-ს გააჩნია ორგანული ღვინის სერტიფიკატი, რითაც შეერთებული შტატების ბაზარზე პირველ ადგილს იკავებს მთავარ იმპორტიორ ქვეყნებს შორის.

საქართველოს მოსდევს და შესაბამისად, მეორე ადგილს იკავებს ავსტრია 7.4%-იანი მაჩვენებლით, მესამე ადგილზე კი არის კანადა - 7.1%-ით.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ქართული ღვინის ექსპორტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად გადააჭარბა მილიონ ბოთლს. ბოლო დროის სტატისტიკაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის სტრატეგიული საექსპორტო ბაზარია.

ასოციაციის ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, რომ 2022 წელს ღვინის ეკონომისტთა ამერიკული ასოციაციის მე-14 წლიური კონფერენცია 24-28 აგვისტოს, საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობითა და ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მხარდაჭერით გაიმართება.

190 ათას მომხმარებელს სესხზე საპროცენტო განაკვეთი არ გაეზრდება

190 ათას მომხმარებელს სესხზე საპროცენტო განაკვეთი არ გაეზრდება - ამის შესახებ ინფორმაციას „საზოგადოება და ბანკები“ ავრცელებს. ორგანიზაციამ ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები მიმოიხილა. 2022 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 190000 სესხია გაცემული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად, 11%-იან მაჩვენებელზე შენარჩუნდა. დღესდღეობით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 9459 მლნ ლარის მოცულობის სესხია გაცემული. 1-ლი ივნისიდან 1-ელ ივლისამდე ცვლად საპროცენტო განაკვეთში გაცემული სესხების რაოდენობა შემცირებულია 500 ხელშეკრულებით, თუმცა, მთლიანი პორტფელი - 8956 მილიონიდან 9459 მილიონ ლარამდე გაიზარდა. 190000 ხელშეკრულებიდან 83400 სამომხმარებლო ტიპის სესხია, მოცულობა კი 1389 მილიონი ლარი. ლარში გაცემული სამომხმარებლო სესხების საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 1-ლი ივლისის მდგომარეობთ 19.89% შეადგინა.

რაოდენობრივად მეორე ადგილზეა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები. რეფინანსირების განაკვეთზე 1-ლი ივლისის მონაცემებით 70800 სესხია მიბმული, საშუალოდ 12.63%-ში. მთლიანი პორტფელი კი 3088.3 მილიონი ლარია. 34700 ხელშეკრულებაა გაფორმებული ბიზნეს სესხების გასაცემად, რაც 1-ელ ივნისთან შედარებით 300-ით ნაკლებია. მთლიანი პორტფელი 4928.8 მილიონი ლარია. აქედან მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად ბანკებმა 1252.6 მილიონი ლარი გასცეს, საშუალოდ 15.75%-ში, ხოლო მსხვილი ბიზნესი კი 1-ლი ივლისის მონაცემებით 3676 მილიონი ლარით დააკრედიტეს, საშუალო შეწონილ 14.62%-ში. ყველაზე მცირე რაოდენობით გაცემულია რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული ავტოსესხი. სულ 1-ლი ივლისის მონაცემებით 800 ხელშეკრულებაა გაფორმებული. 20.2 მლნ ლარი ბანკებმა საშუალოდ 22.27%-ში გაასესხეს. ასევე გაცემულია 300 ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხი, რომელთა კონკრეტული მიზნობრიობა უცნობია. ამ სესხების მთლიანი მოცულობა 28.9 მილიონი ლარია. 1-ლი ივლისის მდგომარეობით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები ლარში გაცემული მთლიანი საკრედიტო პორტფელის 42.1%-ია. მათ შორის ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი ავტო სესხზე - 22.27%-ია, რომელსაც მოყვება სამომხმარებლო სესხი - 19.89%-იანი განაკვეთით. 1-ლი ივლისის მდგომარეობით, შესამჩნევადაა გაზრდილია სასესხო პორტფელი, ხოლო ხელშეკრულებების რაოდენობა შემცირებულია. 1-ელ ივნისთან მონაცემებთან შედარებით საპროცენტო განაკვეთების არსებითი ცვლილება არც ერთი მიზნობრიობით გაცემულ სესხებში არ შეიმჩნევა. „საზოგადოება და ბანკების“ აზრით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის დღევანდელი გადაწყვეტილება, ეკონომიკაში მიმდინარე ინფლაციური პროცესების გამომწვევი შიდა და გარე ფაქტორების შესუსტების გამოძახილია. პანდემიით გამოწვეულ ინფლაციას თან დაერთო რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად წარმოქმნილი რისკებიც, მსოფლიო ბაზარზე გარკვეულ სასაქონლო კატეგორიებზე ფასების ზრდა. მიმდინარე ინფლაციამ შემცირება დაიწყო, თუმცა იგი კვლავ მაღალია. ივლისის თვის ინფლაციამ 11.5% შეადგინა, რაც ზემოაღნიშნული შოკების გამორიცხვის გარეშე უფრო მეტად შემცირებული უნდა ყოფილიყო სხვა თანაბარ პირობებში. ინფლაციის შემცირებაზე დადებითად მოქმედ

ფაქტორებს შორის, შესაძლებელია, გამოვყოთ ლარის გამყარება და შედარებითი სტაბილურობა, რაც იმპორტირებული ინფლაციის შესუსტებას განაპირობებს. გაზრდილია როგორც შიდა, ასევე საგარეო მოთხოვნა. ასევე მნიშვნელოვნადაა შენარჩუნებული საკრედიტო აქტივობა, სამომხმარებლო და უცხოური ვალუტის სესხების ხარჯზეც. რეკორდულადააა გაზრდილი გადმორიცხვები, რაც მოხმარებას ასტიმულირებს და შესაბამისად ზრდის ერთობლივ მოთხოვნას. ეს ფაქტორიც მნიშვნელოვნად აფერხებს ინფლაციის შემცირების ტემპს. შემდგომ თვეებში კლება მოსალოდნელია, თუმცა გაგრძელებული ინფლაციის ფონზე, ახალი შოკის დამატების პირობებში, უარყოფითი ინფლაციური მოლოდინების ფორმირების გაზრდილი რისკია, რითიც აიხსნება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის არსებულ დონეზე შენარჩუნება. სხვა თანაბარ პირობებში ინფლაცია თავის მიზნობრივ მაჩვენებელს 2023 წლის შუა პერიოდისთვის დაუბრუნდება. მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების მიხედვით, გაძლიერებულ ინფლაციურ ზეწოლას დიდი ცენტრალური ბანკები უკვე გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას უპირისპირებენ, მაგ: აშშ-ის და ევროპის ცენტრალური ბანკები, რომლებიც საპროცენტო განაკვეთებს საკმაოდ ხანგრძლივად, ნულოვან ნიშნულთან ინარჩუნებდნენ. ხსენებულ გამკაცრებას, შესაძლებელია, საქართველოში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების ეფექტი ჰქონდეს უცხოური ვალუტის სესხების ნაწილში. რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ ბანკს, მათ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება შედარებით ადრე დაიწყეს, მზარდი ინფლაციური ზეწოლიდან გამომდინარე, რაც პანდემიისგან გამოწვეულმა შოკებმა მოიტანა. სავარაუდოა, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის პარალელურად, ეროვნულმა ბანკმა სხვა მაკროპრუდენციული ბერკეტებიც აამოქმედოს. მონეტარული სტაბილურობისათვის აუცილებელია მთავრობისა და ეროვნული ბანკის კოორდინირებული მუშაობა, საბიუჯეტო ხარჯების თანაბარი ათვისებით და ეროვნული ბანკის დროული მოქმედებით ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნება, რაც სამომავლოდ პირდაპირ კავშირში იქნება ინფლაციასთან“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

სამომხმარებლო სესხების ვადიანობა იცვლება

ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა. „სამომხარებლო დაკრედიტების შენელებისათვის გადავწყვიტეთ გამოვიყენოთ მაკროპრუდენციული ინსტრუმენტები. კერძოდ, ეს ინსტრუმენტია სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადის 4-დან 3 წლამდე შემცირება,“- აღნიშნა გვენეტაძემ. მისივე თქმით, აღნიშნული ცვლილება ძალაში 15 აგვისტოდან შევა და 1 წლის ვადით იმოქმედებს.

რატომ ცდილობს ეროვნული ბანკი ბაზრიდან დოლარის ამოღებას ?



„ჩვენ გვაქვს მცურავი გაცვლითი კურსი და ვთვლით, რომ ეს არის ყველაზე კარგი საშუალება, გამკლავება იმ სხვადასხვა შოკის მიმართ, რომელიც ქვეყანაში შეიძლება იყოს (ასევე რეგიონშიც)“, - ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ რადიო „პალიტრისა“ და “პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა. მისი თქმით, როდესაც სებ-ი ინტერვენციებს აკეთებს, აკვირდება როგორც ე.წ ნომინალურ, ისე რეალურ ეფექტურ კურსებს. შესაბამისად, რეზერვების შევსება ხდება მაშინ, როდესაც ამის საშუალებას ბაზარი იძლევა.

„ეროვნული ბანკის მნიშვნელოვანი ფუნქცია არის ფასების სტაბილურობა, საშუალოვადიან პერიოდში. ამას თავად ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონიც ასე განმარტავს. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ფასებზე, მასზე გავლენას ბევრი ფაქტორი შეიძლება ახდენდეს. ეს არის მიწოდების, ასევე მოთხოვნის ფაქტორები, ეს არის თუნდაც, კურსის გაუფასურება გარკვეულ პერიოდში. თუმცა, სხვადასხვა პერიოდში, ეს ფაქტორები განსხვავებულად აისახება ინფლაციაზე. მაგალითად, თუ გავიხსენებთ 2014-15 წლებს, მოგეხსნებათ, რომ მაშინ საკმაოდ დიდი გაუფასურება იყო კურსის (ლარის კურსის ამერიკულ დოლართან), თუმცა იმ პერიოდში ინფლაცია ძალიან არ გაზრდილა. ამიტომ, ჩვენ არ ვუყურებთ მხოლოდ ერთ მაჩვენებელს, კურსთან დაკავშირებით, და თუნდაც, კურსს რომ ვუყურებდეთ, ამ შემთხვევაში ვუყურებთ არა უბრალოდ გაცვლით კურსს, როგორც ერთ რომელიმე ვალუტასთან, არამედ ე.წ ნომინალურ ეფექტურ კურსს, ანუ კალათას ჩვენს სავაჭრო პარტნიორებთან არსებული კურსებისა. და, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რაც არის, რეალურ ეფექტურ კურსს, რომელიც არის ნომინალურ ეფექტური კურსი გასწორებული სხვადასხვა ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციებთან.

კიდევ ერთი მაგალითი რომ მოვიყვანო, თუ გახსოვთ, 2019 წელს, როდესაც რუსეთიდან ერთ დღეში მოხდა ფრენების აკრძალვა, ამ შემთხვევაში, მოლოდინების არხით მოხდა კურსის გაუფასურება. მაშინ ჩვენ გავუფასურდით, ნომინალური ეფექტური გაცვლით კურსით და ეს გადმოედო ინფლაციას.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ ამ შეკითხვას, როდესაც კურსზე ვსაუბრობთ, ეროვნულ ბანკს არ აქვს რაიმე ისეთი მაჩვენებელი კურსი, რომელზეც იტყოდა, რომ - აი, ახლა ეს არის მაჩვენებელი და ამას უნდა მივაღწიოთ. ჩვენ გვაქვს მცურავი გაცვლით კურსი და ვთვლით, რომ ეს არის ყველაზე კარგი საშუალება, გამკლავება, იმ სხვადასხვა შოკის მიმართ, რომელიც ქვეყანაში შეიძლება იყოს (ასევე, რეგიონშიც). აქედან გამომდინარე, როდესაც ინტერვენციებს ვაკეთებთ, ვუყურებთ იმ სიტუაციას, რომელიც ბაზარზე არის. მოგეხსენებათ, და მე ადრეც გამომიყენებია ასეთი გამოთქმა, არის დრო ვალუტის გაყიდვისა და არის დრო - ვალუტის ყიდვის. 2019 წელს, თუ გახსოვთ, 912 მლნ დოლარი გაყიდა ეროვნულმა ბანკმა, მაგრამ ამ ვალუტის გაყიდვა შეუძლებელი იქნებოდა, თავის დროზე რომ არ გვეყიდა. ამიტომ, როდესაც ბაზარი ამის საშუალებას იძლევა, რომ შევსება მოხდეს რესურსების, რეზერვების, ეს მაშინ ხდება“,- განაცხადა კობა გვენეტაძემ.

შეგახსნებეთ, რომ სებ-მა 1-ელ აგვისტოს ბაზრიდან 10 მლნ დოლარი ამოიღო, ამ მოცულობის დოლარი იყიდა ეროვნულმა ბანკმა 24 მაისს გამართულ სავალუტო აუქციონზე.

უახლოესი მეგობრები: ლია გომელაური, ნანა სეხნიაშვილი, ლალი პოპიაშვილი, ნანული ელიოზაშვილი, ნელი ყაჭაშვილი, ანზორ კირვალიძე, ავთო ქურხულიშვილი, ლადო ხატიაშვილი, ნინო გიგოლაშვილი, ავთო რობიტაშვილი, იუწყებიან თანაკლასელის

ნელი პოპიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დაიკრძალა 2 აგვისტოს. ქ.თბილისში.

„დედოფლისწყაროობა“ 16 აგვისტოს გაიმართება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. სამუშაო შეხვედრაზე „რთველი-2022-ის“ წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებებზე იმსჯელეს.

აღინიშნა, რომ შესაბამისი სამსახურები პროცესის ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩასატარებლად ყველა საჭირო ზომას მიიღებენ, რათა მევენახეებს პრობლემები არ შეექმნათ. რთველი საქართველოში ტრადიციულად ჩვენი მუნიციპალიტეტის ალაზნისპირა სოფლებიდან აგვისტოს ბოლოს დაიწყება.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. მერმა სოფლის ხელმძღვანელებს მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგში აქტიური ჩართვისკენ მოუწოდა.

საუბარი შეეხო „დედოფლისწყაროობის“ ღონისძიებას, რომელიც გუდაურში მომხდარი ტრაგედიის გამო გადაიდო. ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, 2 აგვისტოს დაგეგმილი ღონისძიებები 16 აგვისტოს გაიმართება.

„სამზარეულოს ომების“ გამარჯვებული

ომიკო ბენაშვილი

ბოლო ხანს დედოფლისწყაროს პოპულარულ შოუებსა თუ კონკურსებში ძალიან უმართლებს და აღარც ფინალში გამარჯვებაა ჩვენთვის უცხო. ამჯერად, სატელევიზიო კულინარიული კონკურსი „სამზარეულოს ომების“ გამარჯვებული დედოფლისწყაროელი ომიკო ბენაშვილი (ზემო მაჩხაანი) გახდა. თავდაპირველად ის ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში, ამავე პროექტში წინა სეზონზე ძმასთან ერთად მონაწილეობდა, თუმცა გამარჯვება ამჯერად შეძლო. ახლა მზარეულები კონკურსში ცნობად სახეებთან ერთად იბრძოდნენ და ჟიურის მოხიბვლას ასე ცდილობდნენ. ამ სეზონის ფინალის გამარჯვებულები ომიკო ბენაშვილისა და „კომედი ჯგუფის“ მსახიობ ვახო ბიჭიკაშვილის წყვილი გახდა.

პოპულარულ პროექტში გამარჯვების შემდეგ საკუთარ ემოციებზე გაზეთ „შირაქს“ ომიკო ბენაშვილი ესაუბრა: პროექტამდეც და ახლაც ის და მისი ძმა თბილისში, სასტუმრო-რესტორან „კოპალას“ შეფ მზარეულები არიან.

„პირველ რიგში დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას გულშემატკივრობისთვის და გამხნევებისთვის. ჩემთვისაც მოულოდნელი იყო ეს სიხარული, მაგრამ ვფიქრობ, ეს იმ დიდი შრომის ნაყოფია, რომელიც მე და ვახომ პოექტში ჩავდეთ. მართლაც დღე და ღამეს ვასწორებდით შრომაში. სულ პირველად, სრულიად შემთხვევით ვნახე ფეისბუქზე ამ პროექტის შესახებ. ანკეტა ისე შევავსე, რომ ჩემმა ძმამ არ იცოდა. მივუთითე ორივეს საკონტაქტო ნომერი და ისე მოხდა, რომ მეორე დღეს ჩემ ძმას დაურეკეს. ეგონა, აშაყირებდნენ, რადგან წარმოდგენა არ ქონდა. შემდეგ მე დამირეკა, რა ხდებაო? როცა ავუხსენი, ცოტა კი იყოყმანა ამ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ დავითანხმე, გვინდოდა რომ ჩვენი ნიჭი დაგვემტკიცებინა ფართო მასებისთვის. სიმართლე გითხრათ, ამ პროექტში მონაწილეობა რომ გადავწყვიტეთ, ჩემი დაჟინებით, რა თქმა უნდა, პრიზზე არასდროს გვიფიქრია. ვერ დავუშვით, რომ აი, ეს პრიზი უნდა მოვიგოთ და ამ პრიზების გამო შრომით თავს მოვიკლავდით. ჩვენი მიზანი იყო, რომ ნიჭი გამოგვევლინა და დაგვემტკიცებინა ყველასთვის ჩვენს შესახებ, თუ როგორი შეფ მზარეულები ვართ. სამწუხაროდ, წინა სეზონზე არ გაგვიმართლა რომ გაგვემარჯვა და ოთხეულიდან გამოვვარდით. მაგრამ, ვფიქრობ შედეგის დადება პირველ ჯერზეც შევძელით. მე და ჩემ ძმამ იმხელა სიყვარული და სითბო ვიგრძენით ხალხისგან, რომ ეს განცდა გამარჯვებაზე მეტს ნიშნავს ჩვენთვის. და კიდევ ერთი, ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ვფიქრობ არამარტო ჩემი ქიზიყი, არამედ ჩემი მშობლიური ზემო მაჩხაანი გავახარე ჩემი წარმატებით. ჩემს ფეისბუქ პოსტშიც ავღნიშნე, რომ ფინალში ჩემი ძმა ჩემთან ერთად რომ მდგარიყო, უფრო ძლიერი და ამაყი ვიქნებოდი ამ გამარჯვებით, მაგრამ მინდა ვუთხრა დიმას, რომ ძალიან მიყვარს და წარმატების მისაღწევად დრო ყოველთვის არის. ძალიან დიდი მადლობა თქვენ და ყველას, გულშემატკივრობისთვის, ამ სიხარულის გაზიარებისთვის“ - ამბობს ომიკო ბენაშვილი.

ფინალში გამარჯვებისთვის ომიკოს 10 000 ლარი, 4 დღიანი მოგზაურობა აბუდაბიში მეუღლესთან ერთად და სხვადასხვა პრიზები ერგო.

გამარჯვებულ შეფ მზარეულთან ვრცელ ინტერვიუს „შირაქი“ უკვე ამზადებს და შემდეგში შემოგთავაზებთ.

ილია მარტყოფლიშვილი

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ორ სართულიანი კერძო ბინა ქ.დედოფლისწყაროში, ალადაშვილის 1 შესახვევი №8, ფასი 40 000 $. თხოვნაა გამომეხმაურეთ რეალური მყიდველები. ჰამლეტ სულაშვილი - ტელ: 5 99 85 02 98.

ამინდი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

	ორშაბათი 08.08		სამშაბათი 09.08		ოთხშაბათი 10.08		ხუთშაბათი 11.08		პარასკევი 12.08		შაბათი 13.08		კვირა 14.08	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	26°	17°	28°	17 °	30 °	18 °	30 °	19°	32°	19 °	33 °	19 °	32 °	19°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.